დამტკიცებულია ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიის
დირექტორის 2023 წლის 27 ივნისის #03/21 ბრძანებით
ცვლილება შევიდა ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის
რექტორის 2024 წლის 31 მაისი #03/15 ბრძანებით

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის განვითარების სტრატეგიული გეგმა (2023-2030)

2023

შესავალი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის 2023-2030 წლების განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი ასახავს მოსწავლეთა ზოგადსაგანმანათლებლო სწავლებისა და ქრისტიანული აღზრდის მიმართულებით სკოლა-გიმნაზიის ხედვას, წარმოადგენს სკოლა-გიმნაზიის სტრატეგიულ მიზნებს, მათი მიღწევის გზებსა და სტრატეგიული მიზნების შესაბამის ძირითად მისაღწევ შედეგებს.

ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის 2023-2030 წლების განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი შედგენილია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ქრისტიანული სწავლების საფუძვლების გათვალისწინებით.

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზია არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. სკოლა-გიმნაზია დაფუძნებულია საქართველოს საპატრიარქოს მიერ და ექვემდებარება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილების საფუძველზე მიღებული აქვს ავტორიზაცია და სწავლებას განახორციელებს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე.

სკოლა-გიმნაზიაში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზია მემკვიდრეა იმ სასწავლებლისა, რომელიც გორში 1817 წელს გაიხსნა. გორის სასულიერო სასწავლებელში მოსწავლეთა მიღება 1817 წლის ოქტომბერში დაიწყო, ოფიციალური გახსნის ცერემონიალი კი 1818 წლის 16 მაისს გაიმართა. 1888 წელს სასწავლებელი ახლადაშენებულ ორსართულიან შენობაში გადავიდა, 1889 წლის 24 სექტემბერს (7 ოქტომბერს) კი მასში განთავსებული ტაძარი ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის სახელზე იკურთხა.

XXI საუკუნის დასაწყისში, გორში, ისტორიულ სამეფო ქუჩაზე განთავსებული გორის სასულიერო სასწავლებლის ყოფილი შენობა ეკლესიას დაუბრუნდა. შენობამ მალევე დაიბრუნა თავდაპირველი დანიშნულება – საგანმანათლებლო ფუნქცია. სამთავისისა და გორის ეპარქიის ეპისკოპოს ანდრიას (გვაზავა) კურთხევით 2005 წელს მომზადდა შენობის რეაბილიტაციის პროექტი, რომლის ხორცშესხმა შესაძლებელი გახდა კერძო შეწირულობით.

2006 წელს განახლებულ შენობაში დაფუძნდა გორის ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზია. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან დაწყებით საფეხურზე ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის მიღების შემდეგ, 30 ოქტომბერს, სასწავლებელში დაირეკა პირველი ზარი, 31 ოქტომბერს კი გიმნაზიის ტაძარი ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის სახელზე იკურთხა. ახლადკურთხეულ ტაძარში სამთავისისა და გორის ეპისკოპოსმა ანდრიამ დეკანოზ იოანესთან (ცხვირაშვილი) და ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად პირველი წირვა

აღავლინა. იმავე წელს, 16 ნოემბერს გიმნაზიას ესტუმრა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, რომელმაც საზეიმო პარაკლისი გადაიხადა და დალოცა გიმნაზია, მისი აღმშენებლები, მოსწავლეები, მასწავლებლები და მრევლი.

2006 წელს გიმნაზიაში 83-მა მოსწავლემ დაიწყო სწავლა დაწყებითი საფეხურის პირველ 5 კლასში. გიმნაზიის დირექტორის, სამთავისისა და გორის ეპისკოპოს ანდრიას კურთხევით გიმნაზიის მოძღვრად დაინიშნა დეკანოზი იოანე (ცხვირაშვილი), მოსწავლეთა სწავლების პროცესში 23 მასწავლებელი, ადმინისტრაციის 4 წარმომადგენელი და 10 თანამშრომელი ჩაერთო. 2007 წელს გიმნაზიამ მიიღო საბაზო და საშუალო საფეხურზე საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია.

2010 წლიდან გიმნაზიამ სამართლებრივი სტატუსი შეიცვალა – დაფუძნდა როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. ამავე წლის ივლისში ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიისთვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გასცა ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალური ლიცენზია. 2010-2011 სასწავლო წელს საკლასო მერხებსს პირველი-მეცხრე კლასების 271 მოსწავლე მიუჯდა.

2015 წელს, ავტორიზაციის პროცესის წარმატებით გავლის შემდეგ, ახალ სასწავლო წელს გიმნაზიაში 470-მდე მოსწავლე ირიცხებოდა. სასწავლებელს შეემატა მეორე სასწავლო კორპუსი და სათანადოდ აღჭურვილი სპორტული დარბაზი. აღსაზრდელები ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებთან ერთად სწავლობენ: ძველ ქართულ ენას, საღვთო სჯულს, ქრისტიანული კულტურის ისტორიას, ქართულ ხალხურ სიმღერებსა და საეკლესიო საგალობლებს, ქართულ ცეკვებს; შესაძლებლობა აქვთ დაეუფლონ ფერწერას; ამავე დროს, შეისწავლონ თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები და მათი გამოყენების მეთოდები.

2020 წელს გიმნაზიამ წარმატებით გაიარა მორიგი საავტორიზაციო პროცესი. დადგინდა გიმნაზიაში მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა - 600 მოსწავლე.

2022-2023 სასწავლო წელი გიმნაზიაში 560-მდე მოსწავლემ დაასრულა, რომელთა განათლებასა და აღზრდას გიმნაზიის 74 თანამშრომელი ემსახურებოდა.

2012 წელს გიმნაზიამ პირველ კურსდამთავრებულებს დაულოცა გზა დამოუკიდებელი ცხოვრებისკენ. 2014 წლიდან დღემდე 163-მა მოსწავლემ დაასრულა გიმნაზია, მათგან 59 ოქროსა და ვერცხლის მედალოსანია; 159-მა გიმნაზიელმა განაგრძო სწავლა ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში. სახელმწიფო გრანტი მოპოვებული აქვს 77 ახალგაზრდას. კურსდამთავრებულთაგან ზოგიერთი უკვე შრომობს, ნაწილი კი ღირსეულად აგრძელებს განათლებას საქართველოს და სხვა ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში.

ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის შეწევნითა და გიმნაზიის მასწავლებელთა ძალისხმევით გიმნაზიელებს არაერთი წარმატებისთვის მიუღწევიათ როგორც საგანმანათლებლო, ასევე სახელოვნებო და სპორტული მიმართულებით.

ხედვა

სასკოლო-საგიმნაზიო განათლება მოზარდს

- ჩამოუყალიბებს ქრისტიანულ ცნობიერებას;
- ასწავლის ოჯახის მართლმადიდებლური ტრადიციების პატივისცემასა და სამშობლოს სიყვარულს;
- განუვითარებს უნარ-ჩვევებს ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვისათვის;
- არაფორმალური მუშაობის გაძლიერების გზით დაეხმარება გაეცნოს და ეზიაროს ქრისტიანული ქვეყნების ისტორიას, კულტურასა და ტრადიციებს.

მისია

სწავლისათვის კეთილგანწყობილი, დადებითი გარემოს შექმნა, რათა აღზარდოს ზნეობრივად, სულიერად, ფიზიკურად და ინტელექტუალურად განვითარებული, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების მქონე, გულისხმიერი და შემწყნარებელი მართლმადიდებელი ქრისტიანი ახალგაზრდა, რომელიც თავის ცოდნასა და შესაძლებლობებს მოახმარს პირად და ეროვნულ მიზნებს.

სკოლა-გიმნაზიის ძირითადი ფასეულობები/ღირებულებები

- ქრისტიანიული ცნობიერება;
- განათლებული თაობა;
- სასწავლო გარემოს თანაბარი ხელმისაწვდომობა;
- განვითარებაზე ორიენტირება;
- მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა;
- ეროვნული თვითშეგნება.

სკოლა-გიმნაზიის შიდა კულტურა

- ურთიერთპატივისცემა
- მოწესრიგებულობა

- პატიოსნება
- პასუხისმგებლობა
- თანამშრომლობა
- კოლეგიალობა
- პროფესიული კეთილსინდისიერება
- ცოდნის გაღრმავებაზე ორიენტირება

სკოლა-გიმნაზიის ძლიერი და სუსტი მხარეები

ძლიერი მხარეები

- კეთილმოწყობილი მატერიალურ-ტექნიკური გარემო;
- სასწავლებლის ავტორიტეტი;
- ჯანსაღი სულიერი გარემო;
- დისციპლინირებული სასწავლო პროცესი;
- მაღალი აკადემიური მოსწრება;
- კვალიფიციური კადრი;
- ქრისტიანულ-ევქარისტული კავშირი;
- სასწავლო გადასახადი;
- საპატრიარქოს გრანტი;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების კაბინეტის განახლება;
- უფასო წრეობრივი მომსახურება;
- მოტივირებული პერსონალი;
- მედპერსონალის მუდმივი მომსახურება;
- განვითარებაზე ორიენტირებული თანამშრომლები;
- საგანმანათლებლო/სააღმზრდელო ინიციატივების ხელშეწყობა ადმინისტრაციის მხრიდან;
- მოსწავლეების წამახალისებელი შემეცნებითი პროექტები;
- სასკოლო საზოგადოების წევრების მონაწილეობა სასკოლო-საგიმნაზიო საქმიანობებსა და პროექტებში.

სუსტი მხარეები

- მოუწყობელი ეზო;
- კვების ბლოკის არასრულყოფილება;
- არასრულყოფილად აღჭურვილი სასწავლო ლაბორატორია/კაბინეტები;

- ფსიქოლოგის არყოლა;
- განვითარებისთვის არასაკმარისი დაფინანსება;

სკოლა-გიმნაზიის განვითარების გარე და შიდა ხელშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორები

ხელშემშლელი ფაქტორები

- კანონმდებლობის ცვალებადობა,
- პანდემია;
- მცირე ვაუჩერული დაფინანსების,
- არასაკმარისი გრანტი,
- სწავლის გადასახადის დაგვიანებული გადახდა,
- სწავლის გადასახადის უიმედო დავალიანებები,
- თვითშეფასების მექანიზმების არასრულყოფილება,
- საზოგადოებრივი რესურსის არასრულფასოვანი ჩართვა სკოლა-გიმნაზიის საქმიანობაში.

ხელშემწყობი ფაქტორები

- კარგი რეპუტაცია,
- უსაფრთხო სასწავლო გარემო,
- უწყვეტი სასწავლო პროცესი,
- ჩარიცხვის მსურველთა სიმრავლე,
- განათლების სფეროს სიახლეების ხელმისაწვდომობა.

სკოლა-გიმნაზიის შიდა და გარე საჭიროებები

როგორი გვინდა იყოს გიმნაზია 7 წლის შემდეგ?

- საბავშვო წიგნებით გამდიდრებული ბიბლიოთეკა-სამკითხველო;
- კეთილმოწყობილი ხელგარჯილობის კაბინეტი;
- თვალსაჩინოებებით აღჭურვილი კაბინეტები;

- ბავშვთა ნამუშევრების საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა;
- ბავშვთა თეატრი;
- სახელოსნოების ამოქმედება სკოლა-გიმნაზიის სასწავლო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდასაჭერად;
- აღჭურვილი კლასები;
- დიფერენცირებული, აღჭურვილი სასწავლო ლაბორატორიები;
- მრავალფეროვანი ინვენტარით/სპორტული იარაღით აღჭურვილი სპორტული დარბაზი;
- გამოთავისუფლებული სპეციალური მასწავლებელი;
- ფსიქოლოგის მომსახურება;
- სათანადოდ აღჭურვილი სამედიცინო ოთახი;
- სათანადოდ აღჭურვილი რესურს ოთახი;
- უკეთესი იმიჯი;
- წარმატებული კურსდამთავრებულები;
- სპორტული სექციები (ფრენბურთი, ხელბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი);
- დასასვენებელი სახლი მოსწავლე-მასწავლებლებისათვის;
- შემცირებული სწავლის გადასახადი;
- მასწავლებელთა დაზღვევა;
- სრული დღის სასწავლო პროცესი და ინდივიდუალური მუშაობა;
- დახურული საცურაო აუზი;
- ავტობუსი სკოლა-გიმნაზიის საკუთრებაში;
- სკოლა-გიმნაზიის ბაზაზე კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობა;
- სახელობო პროგრამები;
- პროფესიული სწავლება (ავტომობილის მართვა);
- უფასო სამედიცინო მომსახურება;
- ერთჯერადი ტრაპეზი ყველასათვის;
- შრომითი ანაზღაურების გაზრდა;
- სათემო პროექტების განხორციელება;
- კურსდამთავრებულთა მონაწილეობა სასკოლო-საგიმანაზიო საქმიანობაში.

სკოლა-გიმნაზიის სტრატეგიული მიზნები და სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ძირითადი შედეგები

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის სტრატეგიული მიზანები:

მიზანი 1. განათლებული მოზარდის აღზრდა ქრისტიანული ცნობიერებით;

მიზანი 2. სკოლა-გიმნაზიის ინსტიტუციური განვითარება;

მიზანი 3. სკოლა-გიმნაზიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება;

მიზანი 4. მხარდამჭერი გარემოს უზრუნველყოფა მასწავლებელთა და თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისათვის.

მიზანი 1. განათლებული მოზარდის აღზრდა ქრისტიანული ცნობიერებით

მოსალოდნელი შედეგი:

შედეგი 1.1. სკოლა-გიმანაზიის კურსდამთავრებული იქნება ქრისტიანული ცნობიერების ახალგაზრდა მისი შესაძლებლობების შესაბამისისი უნარ-ჩვევებითა და ცოდნით, მომზადებული დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის.

მიზანი 2. სკოლა-გიმნაზიის ინსტიტუციური განვითარება;

მოსალოდნელი შედეგი:

შედეგი 2.1. სკოლა-გიმნაზიის ინსტიტუციური მოწყობა შესაბამისობაშია საჭიროებებთან და კანონმდებლობასთან;

შედეგი 2.2. სკოლა-გიმნაზიის შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტებთან.

მიზანი 3. სკოლა-გიმნაზიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება

მოსალოდნელი შედეგი:

შედეგი 3.1 სასწავლო კაბინეტები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, საკლასო ოთახები და სპორტული დარბაზი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, თვალსაჩინოებებითა და სასწავლო საშუალებებით;

შედეგი 3.2 უზრუნველყოფილია სასწავლო კორპუსებისა და შენობა-ნაგებობების უსაფრთხოება;

შედეგი 3.3 ეზო კეთილმოწყობილია და შექმნილია გარემო უსაფრთხო დასვენებისათვის;

შედეგი 3.4 დამხმარე მეურნეობა მორგებულია მიმდინარე საჭიროებებს.

მიზანი 4. მხარდამჭერი გარემოს უზრუნველყოფა მასწავლებელთა და თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისათვის

მოსალოდნელი შედეგი:

შედეგი 4.1 სკოლა-გიმანაზიის მაღალკვალიფიციური მასწავლებლების ინიციატივით დამწყები მასწავლებლებისთვის გამოცდილების გაზიარება და განვითარების ხელშეწყობა ხორციელდება:

- სამუშაო შეხვედრების გამართვით,
- კონსულტაციების მოწყობით,
- გადამზადებით,
- გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებით.

შედეგი 4.2 თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა ხორციელდება:

- ტრენერების მოწვევით,
- ონლაინ ტენინგებზე დასწრების ორგანიზებით;
- კონსულტაციების ორგანიზებით,
- მივლინებით ტრენინგებზე, სემინარებზე, სამუშო შეხვედრებზე.